ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №510668

ნომერი: AR1100994

თარიღი : 28.12.2012

გაცემის თარიღი : 21.01.2013

გაცნობის თარიღი : 22.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ იაკობიშვილი პ/ნ 01024002828
- თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 10 ბ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის#397932 გადაწყვეტილებითდადგენილსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

მოქ. თეიმურაზ იაკობიშვილმა 2012 წლის 28 დეკემბერს #AR1100994 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (1200.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.72.14.019.347) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

აშენების მიზნით დადგენილ იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მოქ. თეიმურაზ იაკობიშვილის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #892012126558, მომზადების თარიღი: 03.12.12) საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში და შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #892012126558, მომზადების თარიღი: 03.12.12; მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: #01.72.14.019.347).
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2012 წლის 19 ოქტომბრის #397932 გადაწყვეტილებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.